საქართველოს მთავრობის

განკარგულება

№1959 2013 წლის 13 დეკემბერი ქ. თბილისი

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „SAYALI“-სათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 15 დეკემბრის №15/12/06 განკარგულებით განსაზღვრულისაგან განსხვავებული პირობების დადგენისა და შპს „SAYALI“-ს მიმართ საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე

1. დადგინდეს „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „SAYALI“-სათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 15 დეკემბრის №15/12/06 განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულისაგან განსხვავებული შემდეგი საპრივატიზებო პირობები:

ა) „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „SAYALI“-სათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 15 დეკემბრის №15/12/06 განკარგულების პირველი პუნქტით გადაცემული ქონების ბაზაზე 2015 წლის 1 ოქტომბრამდე მრავალპროფილიანი სამედიცინო დაწესებულების ამოქმედება (გადაცემული ქონების რეკონსტრუქცია, რემონტი, ასევე სამედიცინო დანადგარებითა და ინვენტარით „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს

4/37572
სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
შემოსვლის № 4793/01
„16“ 12 2013
1 ფურცელი

მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილების შესაბამისად აღჭურვა);

ბ) „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „SAYALI"-სათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 15 დეკემბრის №15/12/06 განკარგულების პირველი პუნქტით გადაცემული ქონების ბაზაზე 2015 წლის 1 ოქტომბრამდე კომერციული ან/და საცხოვრებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა-განვითარება;

გ) ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შესრულების მიზნით არანაკლებ 10 620 500 (ათი მილიონ ექვსასოცი ათას ხუთასი) აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელება 2015 წლის 1 ოქტომბრამდე შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

გ.ა) 2014 წლის 1 თებერვლამდე – 1 324 200 (ერთი მილიონ სამასოცდაოთხი ათას ორასი) აშშ დოლარი;

გ.ბ) 2014 წლის 1 აგვისტომდე – 1 837 300 (ერთი მილიონ რვაასოცდაჩვიდმეტი ათას სამასი) აშშ დოლარი;

გ.გ) 2015 წლის 1 თებერვლამდე – 2 809 000 (ორი მილიონ რვაასცხრა ათასი) აშშ დოლარი;

გ.დ) 2015 წლის 1 ოქტომბრამდე – 4 650 000 (ოთხი მილიონ ექვსასორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარი.

2. შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა", „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად შპს „SAYALI"-მ, კანონით დადგენილი წესით, წარმოადგინოს 2016 წლის 1 თებერვლამდე მოქმედი არანაკლებ 531 025 (ხუთას ოცდათერთმეტი ათას ოცდახუთი) აშშ დოლარის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია.

3. „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 49^1 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილება, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი

განვითარების სამინისტროსა და შპს „SAYALI"-ს შორის 2011 წლის 26 დეკემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ამ განკარგულების შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებამდე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლების თაობაზე იმ პირობით, რომ შპს „SAYALI" ჯეროვნად შეასრულებს ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა", „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საპრივატიზებო პირობებს.

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ ამ განკარგულების შესრულების მიზნით განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**